შპს იმერ-ენერჯი კაპიტალი
402248331

01.05.2024

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
01 05 2024 წ.
№ 1545

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალი", ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილაზე გეგემავს, 1.83 მგვტ დადგმული სიმძლავრის, მდინარის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, „ბოსლევი 1 ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, გათვალისწინებულია მდ. ყვირილას ზღვის დონიდან 236 და 225.7 მ ნიშნულებს შორის მოქცეული მონაკვეთის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისება. ჰესის შემადგენლობაში იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- სათავე ნაგებობა, რომლის შემადგენლობაში იქნება: დაბალზღურბლიანი დამბა, წყალმიმღები, 0.06 კმ2 სარკის ზედაპირის ფართობის და 81 000 მ3 მოცულობის წყალსაცავი და თევზსავალი;
- სადაწნეო-სადერივაციო სისტემა;
- ძალური კვანძი (ჰესის შენობა და ქვესადგური).საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მიხედვით, საპროექტო ჰესის დადგმული სიმძლავრის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, მაგრამ კოდექსის პირველი დანართის 21-ე პუნქტის მიხედვით, საპროექტო წყალსაცავის მოცულობიდან გამომდინარე პროექტი უნდა განხორციელდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

წარმოგიდგენთ „ბოსლევი 1 ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- „ბოსლევი 1 ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები SHP ფაილების სახით;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალი"-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

გოჩა მუსელიანი

შპს „იმერ-ენერჯი კაპიტალი"-ს დირექტორი

საქართველო, თბილისი, ატენის ქ. 16ა, ბინა 24||მობილური: +995 577 27 47 47 ||ელ ფოსტა: imerenergycapital@gmail.com